№ 105. 23 მაისი, შაბათი. 1866—1881 23 მაისი, შაბათი. № 105

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე. ივ. მუხრანსკის სახლებში ალექსის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. [illegible] ხიდთან. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წლიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებას“ და „ივერიას“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროებას“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიას“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., წვრილ ასოებით ასო-[illegible] სტრიქონზე ნახევარი კაპ., [illegible] სტრიქონზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერს [illegible], რედაქცია [illegible] და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## ძმათა კ. და ს. პოპოვებისა

მ ო ს კ ო ვ შ ი

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწონილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (6—6)

არწრუნის თეატრში
კვირას, 24 მაისს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი

## ვ. აბაშიძისა

ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

## ო მ ი

ც ო ლ - ქ მ რ ე ბ შ უ ა

ვოდევილი 5 მოქმედ., რუსულიდამ.

II

რა არის ბენეფისი?

ინტერმედია—დივერტისმენტი მიბაძვა გრაფ სოლოგუბისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

იაკორ კასუმოვის და ამხ. მთავარ კანტორაში (ერევნის მეიდანზე, ჯაყელის სახლში) მიიღება ხელის-მოწერა ნეტარხსენებულ იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახელობით ბავშვებისათვის თავშესაფარ სახლის (პრიუტის) გასამართავად. (10—1)


### მცირე რამ შენიშვნა

ახლოს რა მოგახსენოთ და შორიდან კი კარგი საყურებელია, როდესაც ზღვა ჰღელავს!.. მისი ზვირთების უსწორ-მასწოროთ გორება, ზედ ნავ-ჭურჭლის ქიან-შეთამაშება, მისი მოუსვენარი შფოთვა და საზარო ღრიალი თვალ-ყურს იტაცებენ და გულს იტყუებენ. და ბოლოს კი, როდესაც უეცრათ ჩადგება ბორიო, უზარ-მაზარი ზღვა ნელ-ნელა მშვიდდება და მერე სრულად გაქვავებული, გაბროლ-ფიქალებული, თვითქოს დაღალულობის მოსახდელათ ძილს ეძლევაო, რჩება დიდ-ხნობით მიწყნარებული, და მაშინ ჩვენ მხოლოდ ვხედავთ ზღვის შუაგულიდამ კიდეებზედ გამოყრილს ნამტვრევ-ნამსხვრევებს და მძორ-ლეშებს... მაგრამ ამასთანავე ხან-და-ხან მოხდება, რომ ამდენ რამეებ-გამონაყრებთან მარგალიტის სარდაფიც გამოერევა ხოლმე.—სხვა კი ყველაფერი მალე დაირღვევა, დაიშლება, მიეცემა საუკუნოთ დავიწყებას და მარგალიტი კი ისევ ძვირფას მარგალიტათა რჩება საშვილიშვილოთ, „ხელის-ხელ საგოგმანებლათ“...

ორის კვირის განმავლობაში ელელვებული იყო ქუთაისი: ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, უცხო თუ შინაური—ყველა გატაცებული იყო და დღე და ღამ მოსვენება არა ჰქონდათ.

რამ დაუბერა ასე ძლიერათ? და ვინ აალელვა, უმისოთაც საკინძ-ჩამოწყვეტილი, ქუთაისი? — საბანკო არჩევანმა.

მადლობა ღმერთს დღეს ისევ თავის ქერქში ჩადგა ქუდ-მოხდილი ქალაქი.

ბევრი რამ სასაცილო და სამწუხარო ვნახეთ ამ ხალხის მღელვარების დროს, ბევრმა უკადრისიც იკადრა. ბევრი უსამართლობა, უკანონობა და საძაგლობაც მოხდა... მაგრამ დღეს ჩვენ იმაზედ არას ვიტყვით; მისი მოგონებაც კი გვერცხვინება, გვეუკადრისება, არა თუ გამოაშკარავება. ამათ დრო თავის-თავად ბოლოს მოუღებს!.. ჩვენ მხოლოდ სამარგალიტო გვერდს მივადგებით და დავინახავთ, თუ რა იყო იმ მღელვარების დროს სასიხარულო და სანუგეშო?

პირველი ის, რომ ხალხში სიცოცხლე სდუღს და გადადის!.. მართალია, ეს სიცოცხლე, ეს ბუნებისაგან მონიჭებული ძალ-ღონე დღეს წვრილმან რამეებზედ იხარჯება, და მათი მოქმედება „გატანია“ ბურთის თამაშობასა ჰგავს, მაგრამ შემდეგში, როდესაც საგანი გაუდიდდებათ, მათი ძალ-ღონე და ხერხიც, თუ არ იმატებს, ხომ მაინც არ იკლებს. და ეს დღეს სანუგეშოთ კმარა.

ზოგიერთები შემთხვევით დასწრებულნი, ჰკიცხვენ იმ ყაილობის დროს ხალხისაგან ქინით ნამოქმედარ რამეებს და თვითქმის გულსაც იტეხენ იმერეთის ხალხის მომავალზედ... ერთის შეხედვით ისინი მართლა რომ უკეთესს დასკვნას ვერ გამოიტანდენ: მაგრამ ისინიც რომ ჩვენსავით იცნობდენ იმერეთს და იმ თავიდგანვე ჩვენსავით თვალ-ყური ედევნებიათ სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეების გარჩევის დროს იმერლებისათვის, მაშინ სულ სხვა აზრისა იქნებოდენ მათზედ...

ერთ უბრალო არჩევანისათვის ყოველ კუთხიდან იყრიან თავს ათასობით; არ ერიდებიან არც სიშორესა და არც ხარჯს...

და რა მიზეზია? რისთვის იწუხებენ თავს? ვინ არ ასვენებს ამ ხალხს?

თავ-მოყვარება!—„მეც კაცი ვარ! მეც მინდა ავ-კარგი ვიცოდე და ქვეყნის საქმე უჩემოთ კი არა სწყდებოდესო!“

— ამას ხომ „კუდაბზიკობა“ ჰქვიანო? მეტყვიან ზოგიერთები. მართალია!.. ეს არის კუდაბზიკობა, მაგრამ ხალხის კუდ-ამოძუებას ისევ კუდაბზიკობა სჯობიან, რადგანაც პირველი ჩიშნავს ვულის გატეხას და მეორე კი გადაჭარბებულ სიმართლეს. მართალია, კუდაბზიკობით ხშირათ საქმე ფუჭდება, მაგრამ გულ-გატეხილობითაც თავის დღეში არა გაკეთებულა-რა!. პირველი ადვილათ გასწორდება თავის დროზედ და მეორე კი არა. ამ მეორეს ყოველთვის სულით დაცემა მოსდევს

ამასთანავე ამ კრებებმა თვალ-და-თვალ დაგვანახვეს, რომ იმერეთის ხალხი ზნეობითად თან-და-თან სწორდება. პატიოსანთა და რჩეულთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. გუშინ რომ ათი იყო, დღეს ასია და ამ გვამსვლია. ვიფიქრე, ამასაც გაზეთისთვის გადავდებ-მეთქი; მაგრამ თუ დაუვვიანდებოდა დაბეჭდვა, ინტერესი დაეკარგებოდა და ამიტომ ეხლავ ურთამ

---

«დროების» ფელტონი, 23 მაისი.

### რამე-რუმე.

(სურათები ქართლის ცხოვრებიდამ).

რამდენი ხანია 'შინ არ ვყოფილვარ: დავდივარ აქეთ-იქით; როგორც მოგეხსენებათ ფელეტონისტის ამბავი, იქ უგდებ ყურს, აქ უგდებ; ვაგროვებ მასალებს რალა.

ღმერთმა დაუმადლოს კეთილ ხალხს: თითქმის ყველა მხრიდამ მომდის კორრესპონდენციები სხვა-და-სხვა პირებზე, მათს კეთილ მოქმედებაზე, უფრო ხშირად კი ბოროტ-მოქმედებეებზე და ათას-ნაირ ცუღ-კაცობაზე. იმოდენა მასალა მიგროვდება ხანდის-ხან ამ ჩემ პაწია რედაქციაში, რომ აზრად მამივა ხოლმე: მოდი და ერთ პაწია გაზეთს გამოვცემ „დროებაში“-მეთქი. მაგრამ გაზეთი გაზეთში რა იქნება!.. წამომიღლის წინააღმდეგი აზრი, შემიჩხვლიტინებს და ისევ გამაბედვინებს გაზეთის გამოცემას... ეჰე, რა გაეწყობა, ამიყოლია მეც დრომ, უნდა გამოვცე, გადავწყვიტე. მაგრამ, მახლას, რა დავათქვა, გამომცემელი ვინ ვიშოვნო!... ეს დარჩეს დრომდინ...

დიახ ვიარე აქეთ-იქით, ბევრი ვიქეიფე.

პირველი მაისია; ამოციმციმდა მზე და მე სახლს გაუდექ, მინდორი, ველი, ვენახები სავსეა ხალხით; „ორროველას“ ხმა ზარივით წკრიალებს ჰაერში; ვენახებიდამ ისმის ბულბულით სტვენა და ჭახჭახი; მინდორს შესევია სოფლის ხალხი; გაშურებულები ჰკრეფენ ყვავილებს; ბავშვები სწვენენ გვირილის, ზიზილის და სხვა ყვავილების გვირგვინებს; ზოგს კალათები წამოუცვამთ მკლავებზე; შესევიან ჯეჯილებს და კობრჩხილას იღებენ მიწიდამ სამწნილედ.

გაღვიძებულია ბუნება, ფუფუნებს და ახარებს საცოდავ ხალხს.

ამ სანახაობამ ამიღელვა თავი, ამერია თავში ფიქრები; ერთი მეორეს გაჰყვა, გამიტაცა და გაუგებრად მიმაყენა ცხენმა ჩემი სახლის კარებს. თავის სახლი კიდევ სხვა რამ არის: გავფალარათდი, შეველ ჩემ სამეცადინო ოთახში, სტოლი სავსეა გაზეთებით, წერილებით, კორრესპონდენციებით.

— ჰმ, ეს კარგა მასალა მომგროვებია! ვიფიქრე მე. გადავშინჯე. ერთი კორრესპონდენცია, უკეთ ვსთქვათ, ერთი წერილი აპრილის ნახევარს მა-

ამ „რამე-რუმეში“, მაგრამ ჩემის მცირე შენიშვნებით, რომლის ნებასაც მაძლევს წერილის ავტორი. აი წერილი:

„ძმაო ონისიმე! შენმა „რამე-რუმემ“, დაბეჭდილმა ამ წლის „დროების“ № 63-ში, ძალიან ალმაშფოთა, ალმაშფოთა უფლის-ციხის სომეხთ მღვდლის მოქმედებამ და იმისმა პატრონმა, განათლებულმა „ლაზარეველმა“. მე ისე მგონია, რომ თქვენ ლაზარეველს ამართლებთ და საცოდავ მღვდელს კი ღმერთს აცლით: მღვდელი აქ დამნაშავე არ არის; ყოველისფერი ხდება „ლაზარეველის“ წაქეზებით. შენ უნდა შეხებოდი ამ „ლა-

რად შედის ხალხი სიკეთეში. ბაიძვერაობასა და ხრიკებს დღეს ისეთი გასავალი აღარა აქვს იმერეთში, როგორიც აქამდი ჰქონდა; მათ ძლიერებას ფრთები ეკვეცება და ადრე გამოჯგიმული ჩინოსნები დღეს ქირიან ინდაურებივით იფულებიან... მოახლოებულ არს ჟამი აღსასრულისა მათისა... ამიერიდან ველარ გადაელობებიან და ვერ შეაჩერებენ ჩვეულებრივად ნიჭსა და პატიოსნებას...

ხალხი იღვიძებს... ხალხი თვალს ახელს... ადრე თუ გვიან გაიგებს— რაც ეჭირვება. და მაშინ ვაი ორგულთა! ვაი მათ შეურაცხყოფილ საფლავსა!

ჩვენ ეგება კი ველარ მოვესწროთ იმ დროს, მაგრამ ბედნიერი და პატიოსანი მომავალი, უეჭვოდ, მოსალოდნელია. ჩვენი შვილის-შვილები ნახვენ იმ ნეტარ დროს და ჩვენ მხოლოდ გვმართებს, რომ ჩვენის მხრით შეძლებისა-და-გვარად ხელს უწყობდეთ იმ მომავლის დაჩქარებას.

ჩვენ იმას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ ხალხს, რისიც სმენა იმას იამება და ისე კი არ უნდა ვიქცეოდეთ, როგორც ჩვენი საკუთარი სინიდისი და ჭკუა გვამხილებს და იმას უნდა ვეუბნებოდეთ ხალხსაც, რაც მისთვის სამჯობინო და სასარგებლოა.

ეგ ვინ არ იცის! მეტყვიან ზოგიერთები, ისე როგორც კრების დროსაც მითხრეს ქუთაისში...

ვიცი... ვიცი, რომ ყველამ კარგათ იცის ეს ჭეშმარიტება, მაგრამ ვაი რომ ზოგიერთ მოწინავე კაცობის მჩემებლებს არ უნდათ იცოდენ ეს, მცირე რამ და მოწინავე ხალხშიც მიტომ ერევიან, რომ უკეთ მოხიბლონ, მოინდონ ხალხი და ძველებურათ ტყავი აძრონ...

ამ გვარი გაიძვერები დღეს ძალიან თამამათ ჰყოფენ თავს ახალ-გაზდებში და მგონია აწ კი დროა, რომ მწერლობამ მათი სახელი და გვარი და მათი ალიან-ჩალიანი წარუდგინოს საზოგადოებას...

აკაკი.

## ახალი ამბები.

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები, რომელიც რუსის პარიჟელ ელჩს გრაფ არლოვს ერთის ნემეცურის გაზეთის კორრესპონდენტისათვის უთქვამს: რუსეთის იმპერატორს განზრახვა აქვს, რომ რაც შეიძლება მალე მოახდინოს რუსეთში შინაგანი ცვლილება; ერობიდამ (ზემსტვო) გამოვა ძალა, რომელიც დაეხმარება მმართებლობას რუსეთის ვამყოფბაში.

* * *

ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი დღე ისეთ ნაირად აცივდა ჩვენს ქალაქში, რომ ზანდუკებში ჩალაგებული საზამთრო ტანისამოსი ისევ ამოსაღები შეიქნა... ჯერ ამბავი არ მოგვსვლია, მაგრამ გარშემო უეჭველია, სადმე სეტყვა უნდა ყოფილიყოს და ეს სიცივეც იმას მიეწერება...

* * *

კარგ მოსავლის პირს იწერებიან წელს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებიდამ. მართალია, წლევანდელი გაზაფხული ჩვენში ერთობ წვიმიანი გაზაფხულია, განსაკუთრებით კახეთისა და იმერეთისაკენ ხშირი წვიმები ყოფილა, მაგრამ ამას ბევრი ვერა დაუკლია-რა მოსავლისათვის.

ბევრს ვერას დააკლებს წლევანდელ მოსავალს, როგორც ეტყობა, ვერც კალია. ქიზიყში და თფილისის მაზრაში, სადაც გამოჩნდა, ყველგან გაცხარებული მუშაობაა და, იწერებიან, რომ ისე ცოტა და სუსტი კალია არის წელს, რომ ამისაგან ზარალს არ უნდა მოველოდეთო.

ამ საგნისავე შესახებ გაზ. „კავკაზში" სიღნაღიდამ იწერებიან, რომ ელდარზე მუშები არიან დაყენებულნი კალიის გასაწყვეტათაო და რადგან კალიამ ფრთა შეისხა, მუშების რიცხვს მოუმატესო. იორის ნაპირებზე ტარბი მოსულა და დიდძალ კალიას სწყვეტსო.

* * *

ზემოხსენებულისავე გაზეთების სიტყვით, მთავრობას განზრახვა აქვს, რომ ტამბოვის გუბერნიიდამ 250 მოსახლე ურია გარდმოასახლოს ყარსის მაზრაში.

* * *

შარშან გაზ. „თფილისის მანცხადებებში" დაბეჭდილი იყო რამდენიმე შენიშვნა ვიღაც პეტრე ბოლდანისძის ხოსროევისა, რომელიც კასუმოვის და ამხ. სავაჭრო სახლის თაობაზე სხვა-და-სხვა ცუდს ამბებს და ბოროტ-მოქმედობას იწერებოდა.

ამ საქმის თაობაზე საჩივარი ატყდა, და ახლა ჩვენ მივიღეთ ბ. კასუმოვისაგან გაზეთში დასაბეჭდათ მორიგებითი წერილი, რომელიც ამასა და ხოსროევს დაუდვიათ ერთმანეთში აქაურს ოლქის სასამართლოში (ოკრუჟნი სუდში). ამ მორიგებით წერილში ხოსროევი აცხადებს, რომ დამნაშავედ ვრაცხ ჩემ თავს ამ საქმეში, უსამართლოდ ვამტყუვნებდი კასუმოვს და იმის „სავაჭრო სახლს" და ამის გამო ბოდიშს ვიხდი კასუმოვის წინაშე სიტყვითა და საქმით შეურაცხყოფისათვის და მოვალე ვარო, რომ რაც ხარჯი ამ საქმეზე კასუმოვს მოსვლია (250 მან.) ორის თვის განმავლობაში გარდავიხადოვო; ნებას ვაძლევ ბ. კასუმოვსო, რომ ეს ჩვენი მორიგების წერილი გაზეთებში გამოაცხადოსო...

* * *

ქობულეთიდამ გვწერენ, რომ იქაურ მაზრის უფროსს ბ-ნ ბამბეუქოვს ერთ რომელიღაც სოფელში უბრძანებია, რომ იმისთვის მოეჭრათ ბზის ხე. სოფლელებს ეს ბრძანება შეუსრულებიათ და მოუტანიათ იმასთან იმავე სოფელში. მერე უფროსს უბრძანებია, რომ ის ჩაეტანათ სოფლიდან ქობულეთში, რომელიც იმ სოფლიდამ თხუთმეტ ვერსტამდი არისო. სოფლის მუხთარს (მამასახლისს) უთხოვნია გლეხებისათვის, რომ ის ბზის ხე ჩაეტანათ მხრით, რადგანაც ცხენით ბატონის საშუალება არ ყოფილა. სოფლელებს მხრით ამ ... რეზე ჩატანაზედ ... უარი ... და ეს უარი მუხთარს ნაჩალნიკისთვის მოუხსენებია. ბ-ნ ნაჩალნიკს ამ ნაირ თავის შეურაცხყოფაზე, რომ „სოფლელები იმის ბრძანებას არ ასრულებენ", ძრიელ გული მოსვლია და ამისათვის ეს მამასახლისი ჯოხით გაულახავს.

ამ ამბის მომწერი გვარწმუნებს, რომ ქობულეთიდამ ამ უკანასკნელათ ხალხის გადასახლების ერთი მიზეზთაგანი ეს იყოვო.

თუმც დაუჯერებელი არაფერი არ არის ბათუმის მაზრაში, მაგრამ ამ ნაირი მოქმედება ბ-ნი ქობულეთის ნაჩალნიკისაგან მაინც ძნელად დასაჯერებელია...

* * *

ჩვენ გვთხოვენ გაზეთში დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა:

„სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა რუსის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის მწარმოებლებს ის უსამართლოება ჩაედინათ, რასაც „დროების" მკითხველი ცხადად ხედავს ზემოხსენებული ამხანაგობის ანგარიშში. საქმე იმაშია, რომ შარშან მრთლად მარტიდგან ვიდრე აგვისტოს დამდეგამდის რუსის ბანკი სრულებით მომცდარი იყო, რადგან მისი მწარმოებლები და ნამეტნავად „ბუხჰალტერი" გაბმულნი იყვნენ კალიის საქმეში და ბანკის წარმოება შეუძლებელი იყო. მაშასადამე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ჯამაგირის აღებაც მთელი ამ ხუთი თვესა. მაგრამ დღეს „დროების" ფურცელზედ თქვენი ბედნიერი თვალით შეგიძლიანთ დაინახოთ, რომ იმ 450 მანეთიდგან, რომელიც მწარმოებლებს ჰქონდათ ჯამაგირად დანიშნული, არც ერთი მანეთი არ მოუკლიათ და მთლად აუღიათ.

„იმ ხუთ თვეში რომ ბანკი არ მუშაობდა ეს ყველასათვის ცხადია და, ბოლოს, მე თვითონ მსმენია ამ მწარმოებლებისაგანაც კი ესევე ამბავი. „როგორათაც დაშორებული მე-

ზარეველს", ეგ უნდა გეგეგმირა, ეგ უნდა გამოგეაშკარებინა. ბოროტმოქმედი კაცი არ უნდა დაიმალოს, ფარდა უნდა ეხადოს იმის ჯოჯოხეთურს სახეს და ქცევებს; უნდა დავანახოთ საზოგადოებას, თუ როგორი კაცი ტრიალებს იმაში, რა აზრები შეაქვს, როგორ ჭუჭყს სდებს იმას. შენ ამ უკანასკნელ ფელტონში ძალიან სუსტად იქცევი...

„ახლა კი ველარ დაგითმობ, ძმობილო! აქ შენ ჩემ პატივს ეხები. ახირებულია შენმა მზემ! თუ კი არა ვიცოდი-რა, მაგ ვიღაც ლაზარეველზე, რა დამეწერა.

„შენ იმას განათლებულს ეძახი (ახა ვაგლახთა, ბიჭო, მა რა ოხრობა დავუძახო! ინსტიტუტი აქვსო გათავებული!) რა განათლებაა ისეთი განათლება, თუ კი შავად და ბნელად მოვიხმარებ, თუ კი ჩემს მოყვასს ტვინს ამოვწოვ! მამისმინეთ:

„1) არ გაგიგია, რომ მაგ ლაზარეველმა ა. ტერ-ს—ს ოცი თუმანი გამოართვა, არხიმანდრიტს გაუყო იმიტომ, რომ უნდა ეკურთხებინებინა; ვერ აკურთხებინა და საჩივრით ისევ უკან გამოართვეს უბედური ოცი თუმანი?!"

უკაცრავად, მეგობარო, არ ვიცოდი!

„2) ეგ შენი ლაზარეველი არ იყო, რომ ქუთაისის მცხოვრებს ი. მღ—ვს ჯვარის-წერის ნება არ მიაცემინა: ქალი ნათესავიაო, მაგრამ როცა ორმოცი თუმანი... მაშინ კი არგუნა ნათესავი და ჯვარიც დასწერეს?!

„3) ეგ „ლაზარეველი" არ იყო, რომ მალაქ ბ—ცს, რომელიც სომხის სკოლის მასწავლებელი იყო, ეგზაპენია მოუცდინა, ჩხუბი უყო, განდევნა, სკოლა ხელში ჩაიგდო და უბედურობა მისცა?"

„4) ეგ ლაზარეველი არ იყო, რომ ეჩმიაძინის სინოდს ფარულად აკურთხებინა წალკელი დიაკვანი (წალკელი?!) ზერტს მღვდლათ და ერთი ხბოიათ ძროხა...

„5) ეგ ლაზარეველი არ იყო, რომ ვართაპეტმა ი. ხ—ნ წეკრობიდამ გამორისხა, რის გამოც მღვდლებში და ხალხში ენის ტანა დაიწყო და ბოლოს ტყუილი საჩივრებით განდევნა?"

„6) ეგ ის ლაზარეველი არ არის, რომ გორში მცხოვრებს ი. გ—ს სცემა, და როდესაც ამან საჩივარი დაიწყო და ისე გაუჭირვა შენს ლაზარეველს, რომ მივიდა გ—ის სახლში, დაუჩოქა და სთხოვა მაპატიეო?.."

კმარა, ჯერ-ჯერობით აქ შევსწყვეტ; ზოგი შემდეგისთვის იყვეს, და, ვგონებ, ჩემს მეგობარს არ ეწყინება; ერთ პირზე ამდენი ლაპარაკი არც კი ღირს; რამდენი „პლუტუცები" გვყავს პროვინციებში; მაგრამ, მეორეს მხრივ, ამისთანა როგორიც „ლაზარეველი" ყოფილა, ჩემის მეგობრის აწერით, ძნელად მოიძებნება სადმე.

სხვა გაზეთებს და წერილებს შორის, ჩემს სტოლზე ეგდო ერთი ნომერი ბ-ნი ხითაროვის გაზეთისა, აი „კავკაზის კურიერს" რომ ეძახიან, ისა. (№ 87, 1 მაისისა). ეს სახეირო არ არის-მეთქი, ვსთქვი. ძრიელ დიდი; უჩვეულებრივო რამე უნდა ეწეროს, და უთუოდ იმიტომ გამოუგზავნიათ-მეთქი. ჩემდა გასაკვირვებლად, დიდ სისულელესთან მართლებიც არის არეული; წაიკითხეთ ზემოდ გამოწერილის ნომრის „შინაური ამბები.", და მაშინ დარწმუნდებით: თავში მართალია ქალაქის სამმართველოზე; სისულელე „კუდურ-ხანუმის" წარმოდგე-

ზობელი რუისელებისა, არა ვარ ამხანაგი ამ საზოგადოებისა და მიტომ არც დავსწრებივარ ყრილობაზედ, რომ ეს გარემოება შემეტყო წინეთ. ეხლა ვკითხულობ და ვეოცდები ამ გვარ უკანონობაზე.

„ჯერ თვითონ რამდენ პროცენტს შეადგენს 450 მანეთი შედარებით მთელ 4,403 მ. 27 კაპ. წილის ფულთან და 670 მან. მოგებასთან, რომ ისე უსირცხვილოდ იღებენ იმ ხუთ თვისასაც, როდესაც თითქმის ერთხელაც არა გაღებულა ბანკის კარები! იქნება გვაღირსონ პასუხი“?

* * *

გაზ. „მშაკში“ იწერებიან, რომ იმ ცეცხლის ზიანი, რომელიც 26 აპრილს გაჩნდა ბათუმში, უკანასკნელი 200,000 (ორას-ათას) მანეთამდინ იქნებაო. ამაში სულ ორი-ათას თუმნის ქონება იყო საზღვეველ საზოგადოებაში (სტრახში) შეტანილიო.

## წერილები რედაქტორთან

### I

ბატონო რედაქტორო, მე-74 „დროების“ ნომერში იყო დაბეჭდილი კორრესპონდენცია ქუთაისიდამ მიქაძეების და ზვიჩიების საქმის შესახებ ტყის თაობაზე. ეს კორრესპონდენცია მე შემეხება, რადგან ზვიჩიების მხრით მე ვიყავი ვექილათ. თუმცა ზემოხსენებული კორრესპონდენცია მე წავიკითხე ათს წასრულს აპრილს; მაგრამ ვინაიდგან იმავე დღეს მე სოფელში მომიხდა წასვლა, ამისათვის პასუხის-მიცემა ჩემის მხრით აქამომდე შეუძლებელი იყო.

ეხლა მკითხველმა წარმოიდგინოს ჩემი მდგომარეობა: რა ნაირი პასუხი უნდა მივსცე მე კორრესპონდენტს, რომელიც თავის კორესპონდენციას მარტო ლიტონ სიტყვებზე აფუძნებს. კორრესპონდენტი მოგვითხრობს, რომ მე ვიცოდი, რომ ტყე მიქაძეებს ეკუთვნოდა, ხოლო ზვიჩიების საქმეს გარეშე პირთან, მიქაძეებს აზნაურთან, ჭვანიასთან შესახებ იმათ ტყისა კი ვაწარმოებდი.

ამის მეტი ჩემი გამამტყუნებელი კორრესპონდენციაში არა—რაი მოიპოვება. საიდამ სადაო, წმინდა საბაო! თუმცა ტყე მიქაძეებს რომ დარჩესთ, ეს ჩემ პატიოსნებას რით შეეხება? სწორეთ გესლიანი გული უნდა ჰქონდეს იმას, ვინც ამ გარემოებიდამ სხვა დასკვნას გამოიყვანს.

ზვიჩიებმა მომიტანეს მე თავდახსნილობის ქაღალდი, რომელშიაც გამოყვანილი იყო, რომ ისინი თავისუფლდებიან რამინ მიქაძის (ერთი მომჩივანთაგანია) დამოკიდებულებიდამ ჭალადიდის ტყით, ველით, წყლით და ყოველივე მათის საცხოვრებლით, ერთის სიტყვით ყოველივე მით, რაც მას ხელთ ეპყრათ. ზვიჩიებმა დამარწმუნეს მე რომ ეს ქაღალდი იმ ტყეს შეეხება, რომელზედაც ამ ჟამათ მათ ედავებიან მიქაძენი, რომ ტყე მათი საკუთრება არის. ამასთანავე მათ მომიტანეს შავი სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწისა ბატონი ჭიჭინაძის განაჩენისა სადაო ტყის შესახებ და მითხრეს, რომ ნამდვილი საქმე მაზრის სამმართველოში არისო. ამ ქაღალდში ეწერა, რომ ტყე ზვიჩიებს მინიჭებოდა.

ამის შემდეგ შემეძლო მე, თუ არა, მომეფიქრა, რომ მიქაძეებს რამე მფლობელობა ჰქონდათ ტყისა, ან სიმართლე,—ეს მკითხველმა თვითონ გარდასწყვიტოს. ვინც უნდა ყოფილიყო ჩემს მდგომარეობაში, შემდეგ ზვიჩიების საბუთების განხილვისა, ვერავითარ ეჭვს ზვიჩიებზე ვერ აიღებდა.

ზემოხსენებული კორრესპონდენცია ფაქტებზე კი არა, გულთ მისნობაზეა დაფუძნებული: კორრესპონდენტი ჩამძვრალია ჩემ გულში, თავისებურათ გაუგია ჩემი გულის-წადილი და წინდაუხედავათ ამბობს, რომ მე ვიცოდი ვისი საკუთრება იყო ტყე. გნებავს შეიტყო ჩემი აზრი ამ საგნის შესახებ? მე ეხლაც არ მჯერა, რომ ზვიჩიები ტყუოდენ. შეიძლება მე შემცდარი ვიყო, მაგრამ ჩემი ბეჯითი აზრი ეს გახლავთ.

ამას გარდა რა საფუძვლით ბრძანებთ, რომ „გავთბი?“ რატომ არ ბრძანებთ ვისი რა შევირჩინე, ვის რა წავართვი, ვის რა გამოვართვი უსამართლოთ? რატომ ფაქტებს არ მიჩვენებთ? გულის ზიზღით უარს ვყოფ თქვენ ცილის-წამებას...

დავით აბდუშელიშვილი.—

14 მაისი, 1881 წ.

ქუთაისი.—

### II

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს „დროების“ გაზეთში შემდგომს ჩვენს პასუხს:

„დროების“ № 100 დაბეჭდილი არის სტატია შემდგომის სათაურით „ხუცურმა რა დააშავა?“ სხვათა შორის სწერს ბატონი ლელო სამხთო წერილის თარგმანიდამ დღემდის წიგნები (ესე იგი საეკკლესიონი) იწერებოდნენ და ბოლოს იბეჭდებოდნენ ხუცურის ასოებით. ეხლა საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორას უნებებია ეს წიგნები დაბეჭდილ იქმნენ მხედრულის ასოებით, და ამ ახლო ხანში ის აპირებს მთელი დაბადების დაბეჭდვას მხედრულათ.

პასუხად ამისა თამამად ვიტყვი, შენიშვნა ბ. ლელოსი არის უსაფუძლო ცილის წამება, და მაკვირვებს—თუ ვინ მოიგონა ამ გვარი სიცრუვე: საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორასა სრულებით არა ჰქონია არცა განძრახვა, არცა მსჯელობა მას ზედა რომელ ქართული საეკკლესიო წიგნები, რომელნიცა მოსახმარისნი არიან დროსა ღვთის მსახურებისა, დაბეჭდილი იქმნენ მხედრულის ასოებით. ეს წიგნები იბეჭდებიან და ყოველთვის დაიბეჭდებიან ხუცურის ასოებით. ხოლო რაითა შეეხება დაბადების დაბეჭდას მხედრულის ასოებით, თუმცა ყოვლად-უსამღვდელოესი გაბრიელ ეპისკოპოზი ამჯობინებს მხედრულის ასოებით დაბეჭდვას, მაგრამ ჯერ სინოდალნის კანტორას არ გარდაუწყვეტია-რა ამაზედ [illegible] არაფერი, [illegible], რომ თუმცა საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორამ თანახმად აზრისა გაბრიელ ეპისკოპოზისა, კიდეც ინებოს დაბეჭდვა დაბადებისა მხედრულის ასოებით, ამით მაინცა-და-მაინც არა დაშავდება-რა, რადგანაც ეს წიგნი არ არის მოსახმარისი ეკკლესიაში, არამედ არს საყოველთაო საკითხავი.

წევრი საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორისა
არხიმანდრიტი მაკარი.

19 მაისს.

### III

ბატონო რედაქტორო! თქვენს გაზეთში, 17 ამ თვეს, ქუთაისიდგან გამოგზავნილს კორრესპონდენციაში არის დაბეჭდილი, რომ, ვითომც ქუთაისის ახალ-თაობას ერთის მისის საუკეთესო კაცის პირით შემოეთვალოს ჩემთვის, რომ შენ ტყუილად გიწოდებენ ჩვენ კანდიდატად; ჩვენ გვარცხვენო და ხელი აიღე კანდიდატობაზედო; ხოლო მე ამის პასუხად ვითომც მეთქვას: **„сволочь молодежь; я безъ нея обойдусь“**.

მე არც ჩემის თავისთვის მიწოდებია არასოდეს ახალ-თაობის კანდიდატი და არც არავის სხვას უწოდებივარ ამად. მე თუ ახალ-თაობის წრეში ბევრი მეგობრები და ნაცნობები მყავს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომა მე მათი კანდიდატი ვიყო და ვყოფილვიყო, თუმცაღა ეს ჩემთვის დიდათ სასიქადულო და სასიამოვნო იქნებოდა.

არც ქუთაისის ახალ-თაობას შემოუთვლია ჩემთვის, ხელი აიღე კანდიდატობაზედო და არც მე მითქვამს ის უზრდელი და სულელური სიტყვები, რაც კორრესპონდენტს მოუგონია...

დავით ბაქრაძე.

19 მაისი 1881.

---

ნის შესახებ. აღდგომის კვირიდამ ნება მისცეს წარმოდგენებისა და სხვა საქეიფო ადგილების გახსნისა. „ამიტომ, „კავკაზიის კურიერის“ კორრესპონდენტი, მოყვარულებმა ხელ-ახლად სთხოვეს მაზრის უფროსს „კუდურხანუმის“ წარმოდგენის ნება; მაგრამ აი საკვირველება! უფროსმა ნება არ მისცა; „ერთ პიროვნებაში, სახელდობ ნასირ-ფაშაში, გამოყვანილია ერთი ჩემი ნათესავთაგანიო“, სთქვა იმან“.

ეს ამბავი დასაჯერი არ არის თითქო, ერთის მხრივ, და მეორეთი, დასაჯერიცაა. „საიდამ სადაო, წმინდაო საბაო!“ როდინდელ დროს ეკუთვნის ავტორის მოხსენებით „კუდურ-ხანუმის“ შინაარსი და როდის გამოსჩენია პაპიდაშვილი? საიდამ სად გამონათესავებიან, დამბადებელო!? როგორ წარმოვიდგინოთ ამისთანა უმეცრება იმ პირისა, რომელიც მთელ ამოდენა მაზრას მართავს! არა, დასაჯერებელი არ არის. ამაში მე შემდეგი ფაქტი მაჯერებს: როდესაც მარტში აპირებდნენ წარმოდგენას, მაზრის უფროსმა, როგორც მე ნამდვილის წყაროდამ ვიცი, ნება მისცა წარმოდგენისა, მაგრამ პირველ მარტის შესანიშნავმა შემთხვევამ დაუშალა. თუ კი მარტში არ იყო ნათესავი, აპრილში, ერთ თვის შემდეგ, გარდა!... ძალიან კარგი! დავიჯეროთ, რომ უფროსმა უთხრა, რომ „კუდურხანუმში“ ჩემი ნათესავია დახატულიო. რატომ ბ-მა მოყვარულმა ორიოდ სიტყვით არ აუხსნა, არ განუმარტა, არ გაუბნია ეს შემცდარი შეხედულობა ბ-ნ მაზრის უფროსს? იქნება ბ-ნი უფროსი გაეხუმრა კიდეც? ეს სწორე გითხრა სილაზე უარესია: ჩემი ნებაა, არ მოგცემთო; სწორედ კიტრის ამბავს მაგონებს ესა. უნდა მოყვარულებს მიემართნათ ღუბერნატორისთვის, ის არ მისცემდა, ზეით წასულიყვნენ. ეს იმიტომ უნდა ექმნათ, რომ დაემტკიცებინათ მაგისთანა ბატონებისთვის, რომ ჩვენ შეგვიძლიან რამეო. მაგ ვაჟ-ბატონებს მაშ დღეის უკან შეუძლიანთ ყველა პიესის წარმოდგენა აკრძალონ, ყველა პიესის მოქმედ პირზე შეუძლიანთ მიუთითონ: „ეს ჩემი ნათესავია გამოყვანილიო.“ და რაკი მოყვარულებმა ბოლო ვერ მიადევნეს, დაემორჩილნენ იმისთანა პირის აღკრძალვას, არც უნდა გამოეცხადებინათ, ჩემის შეხედულობით, ბ-ნი უფროსისგან სილის გარტყმა. კაცმა თავის სახლში, თუნდ სადაც გინდა იყოს, პანღურის ცემით გამომისტუმროს, მე ეს შეურაცხყოფა ჩავყლაპო ქინაქინის აბივით მწარედ, და მერე გამოვიდე და ქუჩა-ქუჩა ვიძახო: „კაცო, იცი რა მიყო იმან? სილის ცემით კბილებში ოფლი მადინა და კუკუს ცემით უკანანი დამახეთქა!“ ეს რა საკვეხურია! აი, აი, აი, დამბადებელო! რამდენი უდავთრო კაცი გვყავს!? „კურიერის“ კორრესპონდენტს ისრე მოუვიდა, როგორც ბ-ნ ხიზანაშვილს (ცხინვალის გამომძიებელს). დიასამიძემ კბილები ჩამამტვრია, ქრისტიანები ვინა ხართო! ამბობდა ხ—ი „დროებაში“. უფროსმა „კუდურხანუმის“ წარმოდგენის ნება არ მოგვცა, ეს ქრისტიანობააო! ამბობს „კურიერის“ კორრესპონდენტი. ყოჩაღ, ყოჩაღ! ძალიან შეჩვეულხართ პანღურებს!...

1881 წ. 15 მაისს.

# განცხადებანი

—

უზთაისში, ზერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება რუსული წიგნი

**ГРУЗИНСКІЕ ЦЕРКОВНЫЕ ГУДЖАРЫ**

**(ქართული საეკკლესიო გუჯრები)**

გამოცემული დიმ. პ. ფურცელაძისაგან

**ფასი** თითო წიგნისა **ექვსი აბაზი.**

(5—4)

---




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კოლობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კოლობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—5) გ. კარპინსკი.

---

# ქუთაისში

ივანე ნიკოლაძის და შვილთა მოდის მაღაზიაში მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ მრავალ გვარი საქონელი. თუმც ბაჟმა მოიმატა მაგრამ ყველაფერი წინანდელ ფასებით იყიდება. მაღაზიაში არის და კიდევ მოელიან დიდ-ძალ შუშეულს და ჭურჭლეულს. ფასები 25% ნაკლებ ვიდრე სხვა მაღაზიებში.

(10—2)

---

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანკის გამგეობისაგან

თფილისის გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, 17 თებერვალს 1881 წელს უმაღლესად დამტკიცებულის წესდების მე-16 მუხლის ძალით, აცხადებს, რომ ამ 1881 წლის 13 ივნისს, შუადღეზე, ქალაქს თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ქორღანოვის სახლებში № 3, იქნება საზოგადო გასყიდვა, განუმეორებელად, ქვემოხსენებულ პირთ უძრავ მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ამ ბანკიდამ აღებულის სესხისა ბანკის წესდების § § 13, 14, 15, 17, 18, და 19 მუხლებით დადგენილი:

**მაყაშვილები, გიორგი რევაზის-ძე და ზურაბ ივანეს-ძე:** სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, 660 დესიატ. 1800 საჟ. თფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭყას. თავნი ვალი—11,970 მან. 27 კაპ., შესატანი—508 მან. 14 კაპ., სულ—12,415 მან. 41 კაპ.

**ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ თადეოზის-ძე:** სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე; 5774 დესიატ. 775 საჟ. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფლებს: ქარაბულაყს, ფალდოს, უჯარმას და სამგორს. თავნი ვალი—67,176 მან. 17 კაპ., შესატანი ბანკში—3017 მან. 70 კაპ., სულ—70,193 მან. 87 კაპ.

**საგინაშვილი, მიხეილ პაატას-ძე:** სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, 2052 დესიატინა და 448 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს, ახალ-დაბას და ახშანს. თავნი ვალი—13,751 მან. 64 კაპ., შესატანი —1045 მან. 34 კაპ. სულ—14,796 მან. და 98 კაპ.

**ერისთავი, კონა მირმანოზის-ძე:** სახნავ-სათესი, საბალახე და სამოსახლო ადგილები და ტყე, 1009 დესიატ. თფ. გუბ. დუშეთის მაზრაში, სოფ. წალდას. თავნი ვალი—6,384 მან. 63 კაპ., შესატანი—303 მან. 32 კაპ., სულ—6,684 მან. და 95 კაპ.

**ჩოლოყაშვილი, ილია ზაალის-ძე:** სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, 3402 დესიატინა, თფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჭიაურს. თავნი ვალი—39,290 მან. 37 კაპ., შესატანი—1654 მან., სულ—40,944 მან. 37 კაპ.

**დოდაშვილისა, თამარ ალექსანდრეს ასული:** საძოვარი ადგილები და ტყე, 1020 დესიატ. 1920 საჟ., თფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს. თავნი ვალი—8,643 მან., 85 კაპ., შესატანი—552 მან. 22 კაპ. სულ—9,196 მან. 7 კაპ.

**გაბაშვილი იოსებ დავითის-ძე:** სახნავ-სათესი ადგილები, 148 დესიატ. 1860 საჟ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ოქროყანას თავნი ვალი—5,402 მან. 34 კაპ., შესატანი—260 მან. 32 კაპ., სულ—5,662 მან. 66 კაპ.

**ერისთავი, გიორგი გიორგისძე:** სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე, 800 დესიატ. თფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თავნი ვალი—4,723 მან. 29 კაპ., შესატანი—220 მან. 14 კაპ., სულ—4,943 მან. 43 კაპ.

**შალიკოვისა, დარია გულბაათის ასული:** სახნავ-სათესი, სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, 973 დესიატ. 866 საჟ., თფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. სკრას. თავნი ვალი—12,791 მან. 86 კაპ., შესატანი—544 მან. 99 კაპ., სულ—13,336 მან. 85 კაპ.

**შალიკოვი, გიორგი რაჟდენის-ძე:** სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები და ტყე, 426 დესიატინა 1873 საჟ., თფ. გუბ. გორის მაზრაში სოფ. სკრას. თავნი ვალი—8,855 მან. 91 კაპ., შესატანი 380 მან. 69 კაპ. სულ—9,236 მან. 60 კაპ.

**გაბაშვილი, ანდრია მიხეილის-ძე:** სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები, 106 დესიატ. 320 საჟ. თფ. გუბ. და მაზრაში; სოფ. მართისს. თავნი ვალი—4,919 მან. 95 კაპ., შესატანი—246 მან. 90 კაპ., სულ—5,166 მ. 85 კ.

**შალიკოვი, იოსებ ივანეს-ძე:** სახნავ-სათესი მიწები და ტყე, 270 დეს. თფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ზერჯაანს. თავნი ვალი—4,919 მან. 93 კაპ., შესატანი 185 მან. 49 კაპ., სულ—5,105 მან. 42 კაპ.

**ამილახვარი, ივანე თეიმურაზის-ძე:** სახნავ-სათესი ადგილი, 151 დეს. 1,756 საჟ. თფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ვაწრეთს. თავნი ვალი—3,443 მან. 88 კაპ., შესატანი—154 მან. 79 კაპ., სულ—3,597 მან 67 კაპ.

**გაბაშვილი, იოსებ დავითის-ძე:** სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, 178 დესიატ. 2011 საჟ., თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილოს და თხინვალს. თავნი ვალი—2,951 მან. 96 კაპ., შესატანი—198 მან. 50 კ. სულ—3,150 მან. 46 კაპ.

**ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე:** სახნავ-სათესი ადგილები და ტყე 1,977 დესიატ. 1280 საჟ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ძველ-დუმანისში, საფარლოს და ვატევანის სოფელს. თავნი ვალი—13,775 მან. 85 კაპ., შესატანი—552 მან. 18 კაპ. სულ—14,328 მან. 3 კაპ.

**ციციშვილი, დავით ივანეს-ძე:** სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, 87 დესიატ.. 960 საჟ, თფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ქვემო-ნიჩბისს. თავნი ვალი—3,949 მან. 31 კაპ., შესატანი—175 მან. 30 კაპ., სულ 4,124 მან. 61 კაპ.

**ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე:** სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, 1,434 დესიატ. 1,120 საჟ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. მურიყაანს და შიდლიარში. თავნი ვალი—10,860 მან., შესატანი 594 მან. 38 კაპ., სულ—11,454 მან. 68 კაპ.

**ქარუმიძე, ივანე პაატას-ძე:** სახნავ-სათესი ადგილები, 12 დესიატინა 1,440 საჟ. თფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. თორთისს. თავნი ვალი—296 მან. 12 კაპ., შესატანი—23 მან. 35 კაპ., სულ—319 მან. 47 კაპ.

**ამილახვარი, ამირინდო ამირინდოს-ძე:** სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, 145 დესიატ. 175 საჟ. თფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ვაწრეთს. თავნი ვალი—2,961 მან. 90 კაპ., შესატანი—134 მან. 21 კაპ., სულ 3,096 მან. 11 კაპ.

**ვარლამოვი, ალექსანდრე იაგორის-ძე:** სახნავ-სათესი, სათიბი და საძოვარი ადგილები, 266 დესიატ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. თხინვალს. თავნი ვალი—4,936 მან. 50 კაპ., შესატანი—216 მან. 39 კაპ., სულ—5,152 მან. 89 კაპ.

**ერისთავი, ესტატე მირიმანოზის-ძე:** სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, 280 დესიატ. 2,006 საჟ. თფილისის გუბ. გორის მაზრაში, ახოისს. თავნი ვალი—7,898 მან. 40 კაპ., შესატანი—381 მან. 58 კაპ. სულ—8,279 მან. 98 კაპ.

**ანდრონიკოვი, ზაქარია იოსების-ძე:** სახნავ-სათესი, სათიბი და საძოვარი ადგილი და ბუჩქის ტყე, 4765 დესიატ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ლამბალოს. თავნი ვალი—59,238 მან. 7 კაპ., შესატანი—2,475 მან. 50 კაპ. სულ—61,713 მან. 57 კაპ.

**მაღალოვისა, ნინო სარდიონის ასული:** ზვარი, 6 დესიატ. თფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბაკურციხეს. თავნი ვალი—1,700 მან., შესატანი—83 მან. 8 კაპ., სულ—1,783 მან. 8 კაპ.

**ზანდუკელი, ოტია გიორგის ასული:** ზვარი, 7 დესიატ. თფ. გუბ. დუშეთის მაზრაში, სოფ. არაგვისპირს. თავნი ვალი—2,000 მან. შესატანი 64 მან. სულ—2,064 მან.

**ვარლამოვი, ალექსანდრე იაკობის-ძე:** ზვარი, 7 დესიატინა 600 საჟ. თფ. გუბ. და მაზრაში, საგაბაშვილოს თხინვალს. თავნი ვალი—2,000 მან. შესატანი—95 მან. 80 კაპ. სულ—2,095 მან. 80 კაპ.

**ერისთავი, ვახტანგ დავითის-ძე:** სათიბი ადგილები და ტყე, 204 დეს. 1200 საჟ. თფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თავნი ვალი—2,000 მან., შესატანი 64 მან. სულ—2,064 მან.

---

ამ მამულების გასყიდვა, ბანკის წესდების 18 მუხლის თანახმად, დაიწყება ზემო-აღნიშნულის ვალიდამ, რომელსაც მიემატება კიდევ სახელმწიფო და ფოჩტის ხარჯის გარდასახდელი (ნედოიმკები). ბანკის თავნი ვალი სესხის ამღებს შეუძლიან გარდაიხადოს ამავე ბანკის გიროს ფურცლებით, რომელნიც მიიღება მათის ნორმალურის ფასით, მანეთი მანეთში; თავნი ვალი შეიძლება აგრეთვე გარდატანილ იქმნეს მსყიდველზე; ვადაზე შემოსატანი და სხვა გარდასახადი კი ნაღდი ფულით უნდა იქმნეს ბანკში შემოტანილი.

თუ ამ 13 ივნისს არ გაიყიდა რომელიმე მამული, ამ შემთხვევაში ამავე წლის 27 ივლისისათვის, წესდების მე—21 მუხლის თანახმად, დაინიშნება მეორეჯერ და უკანასკნელი გასყიდვა (ტორგი).

წესდების მე—16 მუხლის თანახმად, სესხის ამღებს უფლება აქვს გარდასახდელი ფული თავის სარგებლით და სხვა ხარჯით შემოიტანოს ბანკში თვით გასყიდვის დღემდინ.

(დასასრული) (3—1)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Мая 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.